დანართი №3

2016 წლის 25 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულება N6-ზე

თბილისი **21.06.2016წ.**

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, ს/კ 404957338, წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **თამთა ბართაიას** სახით, შემდგომში დამკვეთი, ერთი მხრივ და **შპს „დელტა კომმი“**, ს/კ 204991795 წარმოდგენილი მისი დირექტორის **პაატა ქიკოძის** სახით, შემდგომში შემსრულებელი, მეორე მხრივ, 2016 წლის 25 აპრილს გაფორმებული N6 ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება, მხარეთა შორის 2016 წლის 25 აპრილს N6 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 21 სექტემბერი.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 21 ოქტომბრამდე.

3. გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისას გამოვლინდა დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, მხარეები ვთანხმდებით, რომ განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების ცვლილება, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულების ღირებულება გაიზრდება 1950 ლარით და შეადგენს 121 684.40 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას წარმოადგინოს წინამდებარე შეთანხმების მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც უნდა მოქმედებდეს 2016 წლის 21 ნოემბრამდე.

5. დამკვეთი იღებს ვალდებულებას, შემსრულებლის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-4 მუხლით განსაზღვრული საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შემსრულებელს გადაუხადოს აღნიშნული შეთანხმების მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაზრდილი ღირებულების დარჩენილი ნაწილი -1950 ლარის ოდენობით.

6. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

დამკვეთი
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
თამთა ბართაია

შემსრულებელი
შპს „დელტა კომმი“
დირექტორი
პაატა ქიკოძე